ევროპის საბჭოს ზოგადი მიმოხილვა

ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის მხარდაჭერა

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

English edition:
The Council of Europe: An Overview

ავტორი: კომუნიკაციის
დირექტორატი - საზოგადოებასთან
ურთიერთობის განყოფილება

დიზაინი და დაკაბადონება:
დოკუმენტებისა და პუბლიკაციების
დეპარტამენტი

© ევროპის საბჭო

შინაარსი

[illegible] 2

[illegible] 4

[illegible] 8

[illegible] 12

[illegible] 16

[illegible] 18

[illegible] 19

[illegible] 20

მოკლედ ევროპის საბჭოს შესახებ

როლი

ევროპის საბჭო თანამშრომლობს 46 წევრ სახელმწიფოსთან ადამიანის უფლებათა დაცვის, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის გაძლიერებისა და მხარდაჭერისთვის, ევრაზიის კონტინენტზე თუ მის ფარგლებს გარეთ.

> **იცოდით თუ არა, რომ**
> **ევროპის საბჭოში შედის 46 ქვეყანა, რომელთა მოსახლეობა ერთად 700 მილიონ ადამიანს აღემატება?**

ევროპის საბჭომ შექმნა უფლებათა დაცვის წარმატებული სისტემა, რომლის საუკეთესო მექანიზმი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოა. სასამართლო დაფუძნდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საფუძველზე, რომელიც რატიფიცირებულია ევროსაბჭოს ყველა წევრ სახელმწიფოში.

სასამართლო მეთვალყურეობას უწევს კონვენციის შესრულებას ევროპის საბჭოს 46 წევრ სახელმწიფოში. კერძო პირს შეუძლია სასამართლოში სარჩელის შეტანა ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევებთან დაკავშირებით მაშინ, როცა მის ქვეყანაში გასაჩივრების ყველა საშუალება ამოწურულია.

სიკვდილით დასჯის გაუქმება ევროსაბჭოს უდიდესი მონაპოვარია. 1997 წლიდან სასჯელის უმაღლესი ზომა ევროსაბჭოს არცერთ წევრ ქვეყანაში არ გამოუყენებიათ.

ისტორია

ევროპის საბჭო ევროპული ინტეგრაციის პროცესის წამომწყებია. ის 1949 წელს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა, ევროპის პოლიტიკური რეკონსტრუქციის მიზნით. ორგანიზაციის შექმნას საფუძვლად დაედო იმ ფუნდამენტურ ფასეულობათა აღიარება და გაზიარება, რომელთა უარყოფამაც კონტინენტი უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო.

ევროსაბჭო ერთ-ერთი პირველი საერთაშორისო ორგანიზაცია იყო, რომელმაც კარი გაუღო ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებს ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ. ამან საშუალება მისცა ამ სახელმწიფოებს, განეხორციელებინათ აუცილებელი პოლიტიკური, საკანონმდებლო, საკონსტიტუციო და სასამართლო რეფორმები, გამკლავებოდნენ თანამედროვე გამოწვევებს და გაეფორმებინათ ახალი შეთანხმებები ისეთ სფეროებში, როგორიცაა კიბერდანაშაული, მონაცემთა დაცვა, საერთაშორისო ტერორიზმი, ადამიანებით ვაჭრობა, ქალთა მიმართ ძალადობა, ბავშვებზე სექსუალური ძალადობა და სხვა.

იცოდით თუ არა, რომ

არცერთი ქვეყანა არ გაწევრიანებულა ევროკავშირში (რომელსაც 27 წევრი ჰყავს) ისე, რომ ჯერ ევროსაბჭოს წევრი არ გამხდარიყოს?

სიმბოლოები

ევროპის საბჭოს აქვს საკუთარი დროშა, ჰიმნი და ლოგო.

ევროპული დროშა - მკვეთრ ლურჯ ფონზე რკალად განლაგებული 12 ოქროსფერი ვარსკვლავი - მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი დროშაა. იგი ევროპის საბჭომ 1955 წელს შექმნა, 1986 წელს კი ოფიციალურად მიიღო ევროკავშირმაც. ეს დროშა რომელიმე კონკრეტულ ევროპულ ინსტიტუციას არ უკავშირდება, ის ევროპული შენების ზოგადი სიმბოლოა.

ასეთივე მრავლისმთქმელია ევროპული ჰიმნიც - „სიხარულის ოდის“ პრელუდია ბეთჰოვენის მე-9 სიმფონიიდან. ევროპის საბჭოს ჰიმნი ის 1972 წელს გახდა, 1986 წლიდან კი ევროკავშირის ჰიმნიცაა.

ევროპის საბჭოს ლოგოზე ევროპული დროშა მოძრავ სიმბოლოს (სპირალს) ერწყმის, რაც ევროპის ქვეყნებს შორის გამოცდილების გაზიარებაზე მიანიშნებს, თან გამოხატავს ევროპის საბჭოს ურყევ ძალისხმევას, დაიცვას თავისი ღირებულებები.

ფუნქციონირება

ევროპის საბჭოს ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია არაერთი ცალკეული ორგანო და კონკრეტული ადამიანი. თითოეულ მათგანს სასიცოცხლო როლი აქვს ამ პროცესში.

გენერალური მდივანი

გენერალური მდივანი ორგანიზაციის ხელმძღვანელია და მას ხუთწლიანი ვადით ირჩევს საპარლამენტო ასამბლეა. ის პასუხისმგებელია სტრატეგიულ დაგეგმვაზე, საქმიანობის პროგრამის მართვასა და ევროპის საბჭოს ბიუჯეტის განკარგვაზე. ამჟამად ამ პოზიციაზეა ალენ ბერსეტ შვეიცარიიდან.

გენერალური მდივნის მოადგილეს ასევე ხუთი წლის ვადით ირჩევს საპარლამენტო ასამბლეა. ამ პოზიციას ამჟამად გაბრიელა ბატაინი-დრაგონი იკავებს.

მინისტრთა კომიტეტი

მინისტრთა კომიტეტი ევროპის საბჭოს გადაწყვეტილების მიმღები ორგანოა, რომელიც შედგება თითოეული წევრი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებისა ან სტრასბურგში მათი მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლებისგან. მინისტრთა კომიტეტი განსაზღვრავს ევროსაბჭოს პოლიტიკას, ამტკიცებს მის ბიუჯეტსა და საქმიანობის პროგრამას.

www.coe.int/cm

საპარლამენტო ასამბლეა

საპარლამენტო ასამბლეა აერთიანებს წარმომადგენლებს 46 წევრი სახელმწიფოს პარლამენტებიდან. ეს არის ფორუმი დებატებისა თუ პანევროპულ სოციალურ და პოლიტიკურ საკითხთა განხილვებისათვის. ასამბლეის ინიცირებულია ორგანიზაციის არაერთი კონვენცია, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია.

www.assembly.coe.int

ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესი

კონგრესიის მოვალეობაა ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის გაძლიერება საბჭოს 46 წევრ სახელმწიფოში. იგი შედგება ორი პალატისაგან - ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისა და რეგიონების პალატები - და სამი კომიტეტისაგან. კონგრესი 150 000-ზე მეტი ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოა.

www.coe.int/congress

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

1959 წელს დაფუძნებული სასამართლო საშუალებას აძლევს ცალკეულ ადამიანებს, ადამიანთა ჯგუფებსა და მთავრობებს, მიუხედავად ეროვნებისა, გაასაჩივრონ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევის შემთხვევები.

www.echr.coe.int

ადამიანის უფლებათა კომისარი

ადამიანის უფლებათა კომისრის ოფისი ევროსაბჭოს დამოუკიდებელი ორგანოა, რომელსაც ევალება საბჭოს 46 წევრ სახელმწიფოში ადამიანის უფლებათა დაცვა და მათ შესახებ ცნობიერების ამაღლება.

www.coe.int/commissioner

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციათა (INGO) კონფერენცია

კონფერენცია სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე მაკავშირებელი რგოლია პოლიტიკოსებსა და რიგით მოქალაქეებს შორის, რომლის საშუალებითაც სამოქალაქო საზოგადოების ხმა აღწევს ევროპის საბჭომდე. იგი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებისაგან შედგება.

www.coe.int/ngo

სამდივნო

ევროპის საბჭოს ძირითადი ოფისი მდებარეობს სტრასბურგში, საფრანგეთში. მასში 2300 ადამიანი მუშაობს ორმოცდაშვიდივე წევრი სახელმწიფოდან. სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან კავშირის უზრუნველსაყოფად, საბჭოს აქვს წარმომადგენლობები და გარე ოფისები სხვა ქვეყნებში.

ძირითადი კონვენციები

ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის მხარდაჭერას ევროპის საბჭო საერთაშორისო კონვენციების საშუალებით ახორციელებს. ეს სამართლებრივად სავალდებულო შეთანხმებებია, რომელთა შესრულებაც წევრი სახელმწიფოებისათვის სავალდებულო ხდება ხელმოწერისა და რატიფიცირების შემდეგ. წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, რეგულარულად გადახედონ საკუთარ პოლიტიკას და უზრუნველყონ მისი შესაბამისობა ამ შეთანხმებათა დებულებებთან.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

კონვენცია ძალაში შევიდა 1950 წელს. იგი იცავს ადამიანების ფუნდამენტურ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, კერძოდ, სიცოცხლის, სამართლიანი სასამართლო განხილვის, გამოხატვის, ფიქრისა და რწმენის უფლებათა დაცვას. ის კრძალავს წამებას, იძულებით შრომას, სიკვდილით დასჯას და დისკრიმინაციის ნებისმიერ ფორმას. მის საფუძველზე შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის განსაკუთრებული სისტემა - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.

ევროპის სოციალური ქარტია

ქარტია 1961 წელს შემუშავდა. მისი ბოლო რედაქცია 1996 წლისაა. ქარტია ზრუნავს ევროპის მოქალაქეთა ეკონომიკურ და სოციალურ უფლებებზე, როგორიცაა დასაქმება, სოციალური და სამართლებრივი დაცულობა, საცხოვრებლით უზრუნველყოფა, ჯანდაცვა, განათლება, თავისუფალი გადაადგილება და დისკრიმინაციისაგან დაცვა.

> **იცოდით თუ არა, რომ**
> ევროპის საბჭომ 220-ზე მეტი შეთანხმება შეიმუშავა ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და სამართლებრივი ნორმების მხარდაჭერის მიზნით?

კონვენცია კიბერდანაშაულის შესახებ

კონვენცია კიბერდანაშაულის შესახებ ძალაში შევიდა 2004 წლის 1 ივლისს. იგი წარმოადგენს სახელმძღვანელოს ნებისმიერი ქვეყნისთვის, რომელსაც სურს კიბერდანაშაულთან დაკავშირებით თანმიმდევრული და ყოვლისმომცველი კანონმდებლობის შემუშავება. ეს კონვენცია ამ სფეროში არსებული სამართლებრივად სავალდებულო ერთადერთი საერთაშორისო ინსტრუმენტია.

ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტია

ქარტია ქმნის საკონსტიტუციო საფუძველს იმ წევრი სახელმწიფოების თვითმმართველობებისთვის, სადაც რატიფიცირებულია ეს დოკუმენტი. ქარტია უზრუნველყოფს ადგილობრივი მმართველობების პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ და ფინანსურ დამოუკიდებლობას.

ევროპის კულტურული კონვენცია

ვინაიდან კულტურას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს სხვა ერების გაგებისა და განსხვავებათა პატივისცემის თვალსაზრისით, ევროპის საბჭომ 1954 წელს მიიღო ევროპის კულტურული კონვენცია. ეს დოკუმენტი ქმნის ერთიან საფუძველს კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა, სპორტისა და ენების საკითხებზე თანამშრომლობისა და საერთო ღირებულებათა გაზიარებისთვის მთელი ევროპის მასშტაბით.

იცოდით თუ არა, რომ

1989 წელს მიღებული დოპინგის საწინააღმდეგო ევროპული კონვენცია ამ სფეროში ერთადერთი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტია?

კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ (ლანზაროტის კონვენცია)

ეს იყო პირველი ინსტრუმენტი, რომელმაც დანაშაულად გამოაცხადა ბავშვებზე სხვადასხვა სახის ძალადობა, მათ შორის, სახლში ან ოჯახში მომხდარი ძალადობა. ლანზაროტის კომიტეტს მხარეთა მიერ კონვენციის მოთხოვნების ეფექტიანად შესრულების მონიტორინგი ევალება.

კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ (სტამბოლის კონცენცია)

კონვენცია მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, აქტიურად იმოქმედონ ძალადობის ნებისმიერი ფორმის პრევენციის, მსხვერპლთა დაცვისა და დამნაშავეთა დასჯის მიზნით. ეს დოკუმენტი მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ამ სფეროში. იგი ეფუძნება პრინციპს, რომ ქალებზე ძალადობის აღმოფხვრა შეუძლებელია ძალისხმევის გარეშე ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის მისაღწევად.

იცოდით თუ არა, რომ

ტერორიზმის პრევენციის შესახებ ევროპული კონვენციის დამატებითი პროტოკოლი მიღებულია 2015 წელს, „უცხოელ ტერორისტ მებრძოლთა“ პრობლემის გადაჭრის მიზნით?

ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ

ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ უზრუნველყოფს ეთიკური სტანდარტების დაცვას მედიცინის სფეროში. ის ადგენს რეკომენდაციებსა და მითითებებს ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა ადამიანებზე სამედიცინო კვლევების ჩატარება, ორგანოების ტრანსპლანტაცია, ადამიანური წარმოშობის ნივთიერებათა გამოყენება, ადამიანის ემბრიონისა და ნაყოფის დაცვა და სამედიცინო ჩანაწერების გამოყენება. საგანგებო პროტოკოლით იკრძალება ადამიანის კლონირება.

კონვენცია სამედიცინო პროდუქციის გაყალბებისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველ სხვა დანაშაულთა აღმოფხვრის შესახებ (მედიკრიმის კონვენცია)

მედიკრიმის კონვენცია ღიაა არაევროპული ქვეყნებისთვისაც. მისი წყალობით, უკვე შესაძლებელია სისხლის სამართლის დანაშაულის კვალიფიკაციით დაისაჯოს ფალსიფიცირებული სამედიცინო პროდუქციის დისტრიბუცია და გაყიდვა, მათ შორის, ინტერნეტით, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის საფუძველზე.

მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები

ევროპის საბჭოში გაწევრიანებული თითოეული ქვეყანა თანახმაა, დაექვემდებაროს მონიტორინგის დამოუკიდებელ მექანიზმებს, რომლებიც აკონტროლებენ შესაბამისობას ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის დაცვის მოთხოვნებთან. ზოგიერთ შემთხვევაში ასეთი მექანიზმების შექმნა შეთანხმებითაც არის დადგენილი.

კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფი (GRECO)

კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფი გამოავლენს ხარვეზებს წევრი ქვეყნების ეროვნულ ანტიკორუფციულ პოლიტიკაში, მოუწოდებს სახელმწიფოებს საჭირო საკანონმდებლო, ინსტიტუციური თუ ადმინისტრაციული რეფორმების განხორციელებისკენ. მისი შეფასებები ევროპის საბჭოს შესაბამის კონვენციებს ეფუძნება.

ევროპის საბჭოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ ექსპერტთა კომიტეტი (MONEYVAL)

MONEYVAL 1997 წელს დაფუძნდა. კომიტეტი პასუხისმგებელია წევრ სახელმწიფოებში ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის ქმედითი სისტემების შექმნაზე.

სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი

კომიტეტი იკვლევს, იცავენ თუ არა წევრი ქვეყნები ევროპის სოციალური ქარტიის მოთხოვნებს ადამიანთა განსახლების, ჯანდაცვის, განათლების, დასაქმებისა და თავისუფალი გადაადგილების შესახებ.

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ)

კომისიის მუშაობის ძირითადი მიზანია მართვის მექანიზმების, წარმატებული პრაქტიკისა და სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება მართლმსაჯულების ეფექტიანობის გაუმჯობესებისთვის. კომისია რეგულარულად აქვეყნებს ევროპული მართლმსაჯულების სისტემების შეფასების ანგარიშს.

წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა ან დასჯის აღკვეთის ევროპული კომიტეტი (CPT)

CPT ამავე სახელწოდების კონვენციის ფარგლებში შეიქმნა 1989 წელს. იგი რეგულარულად ახორციელებს მოულოდნელ ვიზიტებს დაკავების ადგილებში 46 წევრი სახელმწიფოს მასშტაბით (ციხეებში, პოლიციის განყოფილებებში, უცხოელ მოქალაქეთა განსახლების ცენტრებში), რათა შეაფასოს, როგორ ეპყრობიან თავისუფლებააღკვეთილ პირებს.

ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტთა ჯგუფი (GRETA)

GRETA დაარსდა ამავე სახელწოდების კონვენციის საფუძველზე 2008 წელს. ჯგუფი აფასებს წევრი ქვეყნების ძალისხმევასა და ქმედებებს კონვენციის მოთხოვნების შესასრულებლად და რეგულარულად აქვეყნებს შესაბამის ანგარიშებს.

ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის საკონსულტაციო კომიტეტი

ჩარჩო კონვენცია ადგენს მონიტორინგის მექანიზმს, წევრ ქვეყნებში უმცირესობათა მდგომარეობის შეფასებისა და მათი უფლებების დაცვის მიზნით. განსაკუთრებით ეს ეხება შეკრების, გამოხატვის, სინდისის და რელიგიური რწმენის თავისუფლების დაცვას, ასევე მედიაზე წვდომას და საკუთარი ენის გამოყენების შესაძლებლობას.

ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI)

კომისია რეგულარულად ადევნებს თვალყურს რასიზმის, რასობრივი დისკრიმინაციის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და შეუწყნარებლობის საკითხებს 46 წევრ სახელმწიფოში და შესაბამის რეკომენდაციებს აძლევს ეროვნულ მთავრობებს.

რეგიონული ან უმცირესობათა ენების შესახებ ევროპული ქარტიის ექსპერტთა კომიტეტი

ეს ქარტია ერთადერთი შეთანხმებაა მსოფლიოში, რომელიც იცავს და მხარს უჭერს ტრადიციულ რეგიონულ ან უმცირესობათა ენებს. კომიტეტი აკონტროლებს, ზრუნავენ თუ არა წევრი ქვეყნები ამ ენების გამოყენების მხარდასაჭერად საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

ძირითადი ნაწილობრივი შეთანხმებები

ნაწილობრივი შეთანხმება საშუალებას აძლევს ევროსაბჭოს ზოგიერთ ქვეყანას, ერთობლივად იმუშაონ ისეთ საკითხებზე, რომლებიც, შესაძლოა, რელევანტური ან მისაღები არ იყოს ყველა წევრი სახელმწიფოსთვის. ასეთი პროექტების დაფინანსებასა და განხორციელებაში მხოლოდ ის წევრი სახელმწიფოები მონაწილეობენ, რომლებიც ჩართულნი არიან შეთანხმებებში.

ევროპის საბჭოს განვითარების ბანკი

პარიზში მდებარე ეს ბანკი ერთადერთი ფინანსური ინსტიტუციაა, რომელსაც მხოლოდ სოციალური მიზნები აქვს. მისი უპირველესი მისიაა დევნილების, იძულებით გადაადგილებული პირების, ბუნებრივი და ეკოლოგიური კატასტროფების შედეგად დაზარალებული ადამიანების სოციალური პრობლემების მოგვარება, ასევე ამ ადამიანების გადაადგილებით წამოჭრილი სოციალური საკითხების მოგვარება.

მედიცინისა და ჯანდაცვის ხარისხის ევროპული დირექტორატი (ევროპული ფარმაკოპეა)

დირექტორატი ადგენს ოფიციალურ სტანდარტებს ისეთი სფეროებისთვის, როგორიცაა სამედიცინო პრეპარატების წარმოება, სისხლის გადასხმა და ორგანოების ტრანსპლანტაცია. ამ ორგანოს პასუხისმგებლობაში შედის ასევე სამედიცინო პრეპარატების ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლა.

ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად (ვენეციის კომისია)

ვენეციის კომისია - ევროსაბჭოს საკონსულტაციო ორგანო საკონსტიტუციო საკითხებზე - ეხმარება ქვეყნებს ერთობლივი კონსტიტუციური სტანდარტების შემუშავებაში და სამართლებრივ კონსულტაციას სთავაზობს მათ მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ჩრდილოეთი-სამხრეთის ცენტრი

1990 წელს ლისაბონში დაფუძნებული ჩრდილოეთი-სამხრეთის ცენტრი ხელს უწყობს ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის დიალოგს და სოლიდარობის პოლიტიკის განვითარებას, ევროსაბჭოს მიზნების შესაბამისად.

კინოს მხარდაჭერის ევროპული ფონდი (ევრიმაჟი)

ევრიმაჟი ამ ტიპის პირველი ორგანოა ევროპაში. იგი აფინანსებს ევროპული კინოს ნამუშევრების თანაწარმოებას, დისტრიბუციას, გაციფრულებასა და ჩვენებას. ამასთან, ხელს უწყობს კინოს დარგის პროფესიონალებს შორის თანამშრომლობის წახალისებას.

ევროპის აუდიოვიზუალური ობსერვატორია

ობსერვატორია აგროვებს და ავრცელებს სტატისტიკურ და ანალიტიკურ მონაცემებს კინოზე, რადიოზე, ტელევიზიასა და სხვა აუდიოვიზუალურ სერვისებზე ევროპაში.

თანამედროვე ენების ევროპული ცენტრი (გრაცი, ავსტრია)

ცენტრი მხარს უჭერს ენების სწავლებასა და შესწავლას, როგორც კომუნიკაციისა და ურთიერთთანამშრომლობის წახალისების საშუალებას. **www.ecml.at**

პომპიდუს ჯგუფი

ჯგუფის მიზანია პოლიტიკის მომზადება და შემუშავება წევრი ქვეყნების დასახმარებლად ნარკოტიკებზე დამოკიდებულების აღმოფხვრაში.

გაფართოებული ნაწილობრივი შეთანხმება სპორტზე (EPAS)

ამ ნაწილობრივი შეთანხმების მიზანია სპორტის ხელშეწყობა და მისი თანმხლები დადებითი ფასეულობების წინ წამოწევა. ეს შეთანხმება მიზნად ისახავს აგრეთვე საერთაშორისო სტანდარტების შემუშავებას და თანამშრომლობის ზოგადევროპული ჩარჩოს განვითარებას სპორტის სფეროში.

ევროსაბჭო და ახალგაზრდები

ახალგაზრდები წამყვან როლს ასრულებენ ევროპული საზოგადოების განვითარებაში. მათთან მაქსიმალურად ეფექტიანად მუშაობისთვის საბჭომ შეიმუშავა ორიგინალური მიდგომა „თანამმართველობის“ სისტემის სახით, რომელიც საშუალებას აძლევს ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად, თანაბრად ჩაერთონ ახალგაზრდობის პოლიტიკასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებებების მიღებაში, პროგრამებისა და პრიორიტეტების შემუშავებაში.

ახალგაზრდობის ევროპული ცენტრები სტრასბურგსა და ბუდაპეშტში

სხვადასხვა ეროვნების 5000-ზე მეტი ახალგაზრდა ესწრება ყოველწლიურად ახალგაზრდობის ევროპულ ცენტრებში ორგანიზებულ სასწავლო სესიებს, სემინარებსა და კურსებს. 15000-ზე მეტი ახალგაზრდა სარგებლობს ახალგაზრდობის ევროპული ასოციაციის დახმარებით განხორციელებული პროექტებით, რომელთა მიზანია ურთთიერთგაგების, შემწყნარებლობისა და სოლიდარობის მხარდაჭერა.

ახალგაზრდული პარტნიორობის შეთანხმება

1998 წლიდან ევროპის საბჭოსა და ევროკავშირს შორის მოქმედებს პარტნიორობის შეთანხმება ახალგაზრდულ საქმეებზე, რომლის მიზანია, შექმნას ჩარჩო თანმიმდევრული სტრატეგიის ერთობლივად შემუშავებისთვის, ახალგაზრდა ლიდერების მომზადების, ახალგაზრდული პოლიტიკისა და კვლევის სფეროებში.

ევროპის საბჭო და ევროკავშირი

ევროპის საბჭო და ევროკავშირი ორი სხვადასხვა ორგანიზაციაა, რომლებსაც განსხვავებული, თუმცა, ურთიერთშემავსებელი როლი აქვთ. ევროკავშირი იზიარებს იმ ძირითად ფასეულობებს, რომლებსაც ევროპის საბჭო ეფუძნება.

> **იცოდით თუ არა, რომ**
> ევროსაბჭო და ევროკავშირი ერთობლივი პროგრამების საშუალებით მხარს უჭერენ სამართლებრივ და ინსტიტუციურ რეფორმებს ევროპასა და ჩრდილოეთ აფრიკაში პრობლემის გადაჭრის მიზნით?

ეს ორი ორგანიზაცია მჭიდროდ თანამშრომლობს საერთო ინტერესის სფეროებში, როგორიცაა ადამიანის უფლებათა და დემოკრატიის მხარდაჭერა ევროპასა და მის მეზობელ რეგიონებში. მასშტაბური ერთობლივი პროგრამების სახით, მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი მოხმარდა ამ ორი ორგანიზაციის საერთო მიზანს - მშვიდობის განმტკიცებას.

ლისაბონის შეთანხმების ფარგლებში, ევროკავშირმა ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, რითაც შექმნა ერთიანი ევროპული სამართლებრივი სივრცე 700 მილიონი ადამიანისთვის.

ევროკავშირის მსგავსად, ევროპის საბჭოსაც მჭიდრო კავშირი აქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა (UN) და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან (OSCE)

წევრი სახელმწიფოები

46 წევრი სახელმწიფო

ავსტრია, აზერბაიჯანი, ალბანეთი, ანდორა, ბელგია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, გაერთიანებული სამეფო, გერმანია, დანია, ესპანეთი, ესტონეთი, თურქეთი, ირლანდია, ისლანდია, იტალია, კვიპროსი, ლატვია, ლიეტუვა, ლუქსემბურგი, ლიხტენშტეინი, ჩრდილოეთ მაკედონია, მალტა, მოლდოვა, მონაკო, მონტენეგრო, ნიდერლანდები, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სან მარინო, საბერძნეთი, საფრანგეთი, საქართველო, სერბეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, სომხეთი, უკრაინა, უნგრეთი, ფინეთი,შვედეთი, შვეიცარია, ჩეხია, ხორვატია.

> **იცოდით თუ არა, რომ**
> წმინდა საყდარს, კანადას, იაპონიას, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მექსიკას ევროპის საბჭოში დამკვირვებლის სტატუსი აქვთ, ისრაელს კი დამკვირვებლის სტატუსი აქვს საპარლამენტო ასამბლეაში?

სიკვდილის დასჯის გაუქმება, გამოხატვის თავისუფლების მხარდაჭერა, ბავშვთა უფლებების დაცვა, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა, ტერორიზმთან ბრძოლა, მედიცინისა და ჯანდაცვის ხარისხის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფა... ეს ის საკითხებია, რომლებიც თითოეულ ჩვენგანს ეხება. იცით, რა როლს ასრულებს ევროპის საბჭო ამ სფეროებში?

ევროპის საბჭომ შეიმუშავა და დანერგა 200-ზე მეტი კონვენცია და განაგრძობს მათი შესრულების მონიტორინგს. იგი 1949 წლიდან, მისი დაარსების დღიდან, ამ გზით ესწრაფვის ჩვენი კონტინენტის ფუნდამენტურ ღირებულებათა დაცვას - ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის.

აღნიშნულ ხელშეკრულებათა შორის ყველაზე გამორჩეულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. ასევე მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებსაც რეგულარულად აშუქებს მედია.

ბროშურა მოკლედ მიმოიხილავს ევროპის საბჭოს საქმიანობასა და მის მუშაობას.

46 წევრი სახელმწიფო. 700 მილიონი ევროპელი.

საჯაროდ ხელმისაწვდომი დოკუმენტები:
edoc.coe.int

ევროპის საბჭოს გამომცემლობა:
book.coe.int

PREMS 166924

KAT

www.coe.int

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 46 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთა შორისაა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას - ხელშეკრულებას, რომლის ძირითად მიზანს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE